შ.ა.ს. სიმონ ხეჩინაშვილის
სახელობის საუნივერსიტეტო
კლინიკა

L.T.D SIMON KHECHINASHVILI
UNIVERSITY HOSPITAL


საქართველო, თბილისი 0179, ი.ჭავჭავაძის გამზ. №33
ტელ: (+995 32) 2 21 44 00, ფაქსი (+995 32) 2 21 43 44
ელ.ფოსტა: info@tbilisihospital.ge

№33 Chavchavadze ave. Tbilisi 0179,G E O R G I A
Tel: (+995 32) 2 21 44 00, Fax (+995 32) 2 21 43 44
E-mail: info@tbilisihospital.ge

№ 241 „ 18 " ივლისი 2014 წ

თანხმობა

მე – ნიკოლოზ მენთეშაშვილი, როგორც სიმონ ხეჩინაშვილის სახელობის საუნივერსიტეტო კლინიკის (ს/კ 404866123) უფლებამოსილი პირი, ვაძლევ თანხმობას შპს "მოყვასი 2012"-ს მასზედ, რომ მათი კუთვნილებაში მყოფი მიწის ნაკვეთზე (საკ. კოდი 01.14.14.004.023), საპროექტო შენობის დასავლეთ ფასადზე, რომელიც ჩვენს სამეზობლო მიჯნაში იმყოფება, განთავსდეს ვიტრაჟი მოცემული ნახაზის შესაბამისად.



ნიკოლოზ მენთეშაშვილი

გენერალური დირექტორი

TÜRKİYE CUMHURİYETİ
TİFLİS BÜYÜKELÇİLİĞİ

Tiflis, 5 Temmuz 2013

Sayın Tedo Svanidze,
Sayın Davit Sokhadze,

Büyükelçiliğimize gönderdiğiniz mektubta, "Mokvasi 2012" adlı şirket tarafından, Büyükelçiliğimiz yanındaki I. Chavchavadze Caddesi No: 29-31-33 adresinde bulunan 04/023 nolu arsada, Büyükelçiliğimiz bahçe duvarından 7 metre uzaklıkta, 67 metre yüksekliğinde ve Büyükelçiliğimiz yönünde pencere ve balkonları bulunacak çok katlı bir toplu konut inşa edilmesinin öngörüldüğünü bildirmekte ve bu konuda Büyükelçiliğimizin görüşünü sormaktasınız.

Büyükelçiliğimiz bahçe duvarından en az 7 metre uzaklıkta olması şartıyla, sözkonusu arsada 67 metre yüksekliğinde ve Büyükelçiliğimiz yönünde pencere ve balkonları bulunan çok katlı bir konut inşa edilmesinde Büyükelçiliğimizce bir sakınca bulunmamaktadır.

Bilgi edinmenizi saygılarımla rica ederim.

Levent Murat Burhan
Büyükelçi

თურქეთის რესპუბლიკის საელჩო თბილისში

თბილისი, 5 ივლისი 2013 წ.

ბატონო თედო სვანიძე,

ბატონო დავით სოხაძე

ჩვენი საელჩოსთვის გამოგზავნილ წერილში აღნიშნავთ, რომ კომპანია „მოყვასი 2012“-ის მიერ ჩვენი საელჩოს გვერდით, მისამართზე: ი. ჭავჭავაძის გამზ. №29-31-33, მიწის ნაკვეთი: №04/023, საელჩოს ბაღის ღობიდან 7 მეტრი დაშორებით აშენდება 67 მეტრი სიმაღლის მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახლი, რომლის ფასადი ფანჯრებითა და აივნებით იქნება საელჩოს მხარეს, და გვეკითხებით ამ საკითხზე ჩვენი საელჩოს მოსაზრებას.

ჩვენი საელჩო არ არის წინააღმდეგი, ხსენებულ მიწის ნაკვეთზე აშენდეს 67 მეტრი სიმაღლის მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახლი, საელჩოს მხარეს ფანჯრებითა და აივნებით იმ პირობით, თუ აღნიშნული შენობა დაშორებული იქნება საელჩოს ბაღის ღობიდან სულ მცირე 7 მეტრით.

გთხოვთ, მიიღოთ ცნობად.

პატივისცემით,

(ხელმოწერილია)

ელჩი ლევენთ მურათ ბურჰან

სანოტარო აქტი

თბილისი ორი ათას ცამეტი წლის რვა იულისი 08.07.2013

ორი ათას ცამეტი წლის რვა იულისს მე, საქართველოს ნოტარიუსი **ნანა ბაკურაძე**, რომლის სანოტარო ბიურო მდებარეობს მისამართზე: ქ. თბილისი, კოსტავას ქ. №76, პირველი სართული

ვამოწმებ თურქული ენის დიპლომირებული მთარგმნელის მაკა კიკნაველიძის (დაბ. 25.02.1971წ. თბილისში, მცხოვრები მისამართზე: თბილისი, ბერძენიშვილის ქ. 4, ბინა 15, პირადი №01008018862, პირადობის მოწმობა №დ 0245595, გაცემული თბილისის ვაკის რ/ნის შს სამმართველოს მიერ 29.06.1999წ.) ხელმოწერის სინამდვილეს წინამდებარე დოკუმენტის თურქული ენიდან ქართულ ენაზე თარგმნას.

თარჯიმანმა წარმოადგინა ენის ცოდნის დამადასტურებელი დოკუმენტი: დიპლომი УВ №997269 გაცემული თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ 1993 წელს, სპეციალობით თურქული ენა და ლიტერატურა

მე თარჯიმანი გავაფრთხილე იმ პასუხისმგებლობის შესახებ, რომელიც მოჰყვება არაზუსტ თარგმანს, თარჯიმანმა ჩემს წინაშე განაცხადა, რომ ჯეროვნად ფლობს თურქულ ენას და უზრუნველყო ზუსტი თარგმანი. მისთვის ცნობილია, რომ პასუხს აგებს თარგმანის სისწორეზე და ხელი მოაწერა ჩემი თანდასწრებით.

გადახდილია სანოტარო მომსახურეობის ნოტარიუსის საზღაური 2 ლარი, (თანახმად საქართველოს მთავრობის 2011 წლის 29 დეკემბრის დადგენილება №507-ის 31. მუხლისა) აგრეთვე დ.ღ.გ 36 თეთრი (თანხმად საქართველოს საგადასახადო კოდექსის 169-ე მუხლისა) და რეგისტრაციის საფასური 2 ლარი (თანახმად საქართველოს მთავრობის 2011 წლის 29 დეკემბრის დადგენილება №507-ის 39. მუხლისა): – სულ გადახდილია 4 ლარი და 36 თეთრი.

ნოტარიუსი ნანა ბაკურაძე



ქ.თბილისის მერიის გამწვანებისა და

ეკოლოგიის სამსახურის უფროსს ბატონ

გიორგი ქორქაშვილს

შ.პ.ს. „მოყვასი 2012“ დირექტორების

თედო სვანიძისა და ვასილ სოხაძის

განცხადება

მოგახსენებთ,რომ ამა წლის 30 მარტს,ძლიერი ქარის გამო ქვაბულში ჩავარდა 6 პატარა ტუის ნარგავი.მერიის გამწვანების ძედამხედველობა ჩავაყენეთ საქმის კურსში.მათ მირჩიეს ,რომ მომემართა თქვენი უწყებისთვის.

თქვენი თანამშრომლის მითითების შემდეგ 6 ნარგავი დავრგე უნივერ-სტეტის მაღლივი კორპუსის ბიბლიოთეკის მიმდებარე ტერიტორიაზე. გადარგვის ფოტოსურათების დისკი ერთვის განცხადებას.

პატივისცემით

დირექტორები: თედო სვანიძე

ვასო სოხაძე



დ ა ს კ ვ ნ ა

თქვენი 28.03.2014 წ. განცხადების თანახმად და შესაბამისი ხელშეკრულების საფუძველზე აგრარული უნივერსიტეტის ვასილ გულისაშვილის სატყეო ინსტიტუტის მეტყევე სპეციალისტ მეცნიერებს ბილოგ. მეცნ. აკ. დოქტორს არჩილ სუპატაშვილს და პროფესორ ალექსანდრე აფციაურს დაგვევალა თქვენი საკუთრების ფართობზე, ჭავჭავაძის გამზირზე 29/31-ში მიმდებარედ, ტუიების მდგომარეობის შესწავლა მასზედ, რომ როგორც მეზობლები გედავებიან თქვენ მიწის სამუშაოების ჩატარების დროს დააზიანეთ 36 ძირი ტუიასი და 2 ძირი საპნის ხის ნარგაობები.

აღნიშნული ნარგაობების დათვალიერებისა და შესწავლის შედეგად მეტყევე სპეციალისტებმა დავადგინეთ:

ტუიები 40 წლის წინათ არის დარგული, როგორც ბუჩქები და ამ ხნის განმავლობაში არც გაკრეჭილა და გაზრდილები არიან როგორც დეგრადირებული (ტუია არის საბუჩქე მცენარე, როგორც ჩვეულებრივ ხეს სწორი ღერო არ ეზრდებათ, ერთ ძირ ბუჩქზე რამოდენიმე ღერო აქვს გაზრდილი, ამიტომ არიან დეგრადირებული ფორმის).

რაც შეეხება ტუიების დაზიანებას: არც ერთ ტუიას მთავარი ფესვის ღერო არ აქვს დაზიანებული და არანაირი ხმობის ნიშნები არც ერთ ძირს არ გააჩნია, ასევე საპნის ხეებს. აღნიშნული ნარგაობები ძირში თუ არ გადაიჭრა ან სპეციალურად არ ამოიძირკვა არანაირი გახმობის საშიშროება არსებული მდგომარეობით არ ემუქრება.

რაზედაც ვაწერთ ხელს

დანართი: სურათები 8 ცალი.

ბოილ. მეცნ. დოქტორი
არჩილ სუპატაშვილი

პროფესორი
ალექსანდრე აფციაური

11.04.2014წ.

ქალაქ თბილისის მერია

TBILISI.GOV.GE

დოკუმენტის ნომერი : 12/14093600-25 რეგისტრაციის თარიღი: 03.04.2014

მერიის კომპეტენციაში არსებულ ნებისმიერ საკითხზე ინფორმაციის მისაღებად დაგვიკავშირდით 24 საათის განმავლობაში

ცხელი ხაზი 272 22 22

ქ. თბილისი 0160, შარტავას ქუჩა №7

www.hermes.ge www.tas.ge www.kids.org.ge www.tm.ge www.iauction.ge